ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3263602

ნომერი: AR1500749

თარიღი : 03.05.2017

გაცემის თარიღი : 24.05.2017

გაცნობის თარიღი : 25.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მელიქიშვილი N15 ; ქალაქი თბილისი , გამზირი მელიქიშვილი , N 17-19 , ქუჩა ქუჩიშვილი , შესახვევი , N 4-6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტრისტან სამუშია პ/ნ 01030004806
- თბილისი ტყვიავის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1500749 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს დაინტერესებაში არსებული საკითხი, ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. N15, მელიქიშვილის გამზ. N17-19, ქუჩიშვილის ქ. შესახვევი N4-6-ში გზის, კიბის და ლიფტის მოწყობის საკითხი განხილულ იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო“-ს 2017 წლის 4 მაისის #118 სხდომაზე, რომელის დასკვნის საფუძველზე მოცემულ საკითხს ეთქვა უარი.
ზემოაღნიშნული საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობა გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

---

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.